

## ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაცია

### მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი არის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა, ასევე უცხო ქვეყნის საწარმოს და არსამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის რეგისტრაციის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

### რას ნიშნავს რეგისტრაცია?

რეგისტრაცია არის სუბიექტის წარმოშობის, რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების და რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით. ინდივიდუალური მეწარმე წარმოშობილად ითვლება რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

### ინდივიდუალური მეწარმე

ინდივიდუალური მეწარმე არის ფიზიკური პირი, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, მეწარმედ არის რეგისტრირებული რეესტრში და თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით.

### რას გულისხმობს სამეწარმეო საქმიანობა?

სამეწარმეო საქმიანობა არის სუბიექტის მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

სამეწარმეო საქმიანობად არ ითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა. შესაბამისად, ფიზიკური პირის მიერ ასეთი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში რეესტრში ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაცია სავალდებულო არ არის.

### ვისთვისაა განკუთვნილი რეგისტრაციის სერვისი?

აღნიშნული სერვისი განკუთვნილია ფიზიკური პირებისათვის, რომელსაც სურს დაიწყოს სამეწარმეო საქმიანობა. ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაცია შეუძლია როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

## **შესაძლებელია თუ არა ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირდეს არასრულწლოვანი (18 წლამდე) პირი?**

ინდივიდუალურ მეწარმედ არასრულწლოვანის რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლებისა (მშობლები, მეურვე, მზრუნველი..) და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობით.

## **ვინ შეიძლება იყოს განმცხადებელი აღნიშნულ სერვისზე და ვის უნდა მიმართოს მან სერვისის მისაღებად?**

განმცხადებელი სერვისზე შეიძლება იყოს უშუალოდ დაინტერესებული პირი (ვინც რეგისტრირდება ინდივიდუალურ მეწარმედ) ან დაინტერესებული პირის წარმომადგენელი.

## **ვის მივმართო ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციისთვის?**

ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციისთვის მიმართეთ ბათუმის იუსტიციის სახლს. თან იქონიეთ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (ელექტრონული განცხადება ივსება ფრონტ ოფისის ოპერატორის მიერ);
2. თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (გადახდა შესაძლებელია ადგილზე);

იმ შემთხვევაში, თუ პირი ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირდება პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მისამართისგან განსხვავებულ მისამართზე, რომელიც არ წარმოადგენს მის საკუთრებას, დამატებით წარმოსადგენი იქნება აღნიშნულ მისამართზე არსებული უძრავი ნივთის მესაკუთრის თანხმობა ან სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული ხელშეკრულება ამ ნივთით სარგებლობის შესახებ (იჯარის, ქირავნობის, თხოვებისა ან სხვა).

იმ შემთხვევაში თუ თქვენ ხართ დაინტერესებული პირის წარმომადგენელი მაშინ დამატებით წარმოადგინეთ სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

## **ბოქსის ინფორმაცია:**

კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დამატებით მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად.

## **ვადა და საფასური:**

მომსახურების ვადა	მომსახურების ტარიფი
1 სამუშაო დღეში	20 ლარი
იმავე დღეს	50 ლარი

ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და სრულდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ ვადის ბოლო დღეს წარმოადგენს მომდევნო სამუშაო დღე.